5 (17) მაისს 1867. № 18. მეორე წელიწადი.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

**შინაარსი.** განცხადება. მმართებლობის განკარგულება. კავკასიის ნამესტნიკის გაბრძანება ტფილისიდგან — უზენაესის პატრიარქის და მთელი სომხის ტომის კათოლიკოზის გევორქის მოსვლა ტფილისში. — „დროების“ კორრესპონდენცია. ტფილისი: ქართულ წარმოდგენაზედ. **პოლიტიკა.** — ანგლიის მმართებლობა აღმოსავლეთის საქმეში: — ფრანცია. საბერძნეთი. ტელეგრამმები. ფელეტონი. სხვა და სხვა ამბავი. სახაზინო განცხადება. საბიბლიოგრაფიო ცნობა. კერძოობითი განცხადება.

შეცდომა „დროების“ 17-ს №-ში. მეორე გვერდზე სწერია: ივანე ედიშერის ძე, ზაალ ივანეს ძე, მიხეილ გიორგის ძე და ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილები. უნდა იყოს: ივანე ედიშერის ძე, ზაალ ივანეს ძე, მიხეილ გიორგის ძე ციციშვილები და ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი.

### განცხადება.

მეშვიდე მეჭევის კომმისია მომავალს მაისს დაიწყებს თავის მოქმედებას თელავის უეზდში და იმავე უჩასტკაში. კომმისია მასიდამ განაგრძობს შინაურს გამიჯვნას და გაყოფას მამულებისას ქისტურისას, ობოლიძესას, რჩეულეთისას, ზემო-ხოდაშენისას, სახელმწიფოს და შილრტეის მონასტრისას, აწყურისას, რუის-პირისას, იყალთოსას, ახატელის და ოროზმანისას; გარდა ამისა შემოუვლის გარეშემო მიჯნებს სოფლის წინანდლისას. ამისთვის მეჭევის კომმისია უმორჩილესად სთხოვს იმ პირთ, რომელთაც აქვთ საკუთრება, ან მონაწილეობა იმ მამულებში, გამოცხადდნენ კომმისიაში, ან გამოგზავნონ დასაცველათ თავის საკუთრებისა ვექილი კანონიერის რწმუნების წერილით.

### მმართებლობის განკარგულება.

#### უმაღლესი ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

მისმა იმპერატორების დიდებულებამ 1867 წლის 16 აპრილს, პეტერბურგს გასცა შემდეგი ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში: დაინიშნებიან: კავკასიის იქითის და აქეთის მხარის სამოქალაქო დაწყობილების საქმეთა დროებითის განყოფილების მმართველი და ნამესტნიკის სალაშქრო კანცელარიის დირეკტორი, გრაფი ლევაშოვი, რომელიც ირიცხება პოლევის საცხენოსნო არტილლერიაში, — ქუთაისის სამხედრო გუბერნატორათ, რომელმაც უნდა განაგოს სამოქალაქო ნაწილიცა და ისევ პოლევის საცხენოსნო არტილლერიაში უნდა მდგომარეობდეს: ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, აგალინი — კავკასიის ნამესტნიკის რჩევის წევრად. სამეგრელოს მმართველი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, ვლასტოვი — სტავროპოლის გუბერნატრათ.

ხელმოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი
გენერალ-ფელდცეიხმეისტერი
„მიხეილი“

---

მისი იმპერატორის უმაღლესობა, ხელმწიფე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე 25 აპრილს გაბძანდა ტფილისიდგან. მისი უმაღლესობა თავის მოგზაურობაში გაივლის ვლადიკავკაზს, პიატიგორსკს, ეკატირინოდარს, ეისკს, ნოვოროსიისკს და სოხუმს.

---

#### უზენაესის პატრიარქის და მთელი სომხის ტომის კათოლიკოსის გევორქის მოსვლა ტფილისში.

1867 წელს 7 აპრილს მოვიდა ტფილისს უზენაესი პატრიარქი გევორქი, მთელი სომხის ტომის კათოლიკოსი, რომელიც სომხის ხალხმა პატრიარქათ ამოირჩია და ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა ამ თანამდებობაში.

როდესაც შეიტყეს, რომ პატრიარქი მობრძანდებოდა, რამდენიმე უპატივცემულესი და მდიდარი სომეხი წავიდა თავის პატრიარქის მისაგებებლად. იმათ გაჰყვნენ ბევრი სხვა ცხენოსანი სომხები, რომელთაც უნდოდათ წინათვე ენახათ თავიანთ სარწმუნოების მამათმთავარი.

მცხეთაში პატრიარქს სადილი მოუმზადეს. ექვს საათზედ საღამოს ისიც მოვიდა, დალოცა თავისი სამწყსოს წარმომადგენელნი და მიგებებისთვის იმათ მადლობა უთხრა.

7 აპრილს დილას, თუმცა საშინელი ცუდი ქარიანი ამინდი იყო, მაგრამ თითქმის ყველა ტფილისელი სომხები გამოეგებნენ ვერაზედ და გალავინის პროსპექტზედ პატრიარქსა. უმთავრესს გაუპტვახტთან იმას მიეგება სასულიერო წოდება ჯვრით, სახარებით, ხატებით და დროშებით. აქ მომზადებული იყო ცისფერი ატლასის ბალდახინი, რომელიც უნდა ეტვირთათ უძველესი თავადის და აზნაურის გვარის კაცებს. ბალდახინს ქვეშ თავი შეიფარა პატრიარქმა. აქედამ ყველანი ერთად წავიდნენ ვანქის სობოროში. ვანქის ტაძარში რომ შევიდა პატრიარქი, არქიეპისკოპოსმა მაკარიმ უთხრა იმას სიტყვა; ამ სიტყვაში იმან წარმოსთქვა: „წმინდა მამათ მთავარო, ამიერითგან თქვენ უზენაესმა გაგიხსნათ ასპარეზი დიდი მოღვაწეობისთვის. თქვენ უნდა დაიცვათ დიდება წმინდის ტაძრისა, კეთილ-გაწყობილება უნდა მისცეთ უმთავრესთა სასულიერო საქმეთა და მიანიჭოთ წარმატება სემინარიებს, სასულიერო სასწავლებლებს, რომელნიც იმყოფებიან ეპარქიებში და ქალაქებში.“ ამას შემდეგ მისმა უწმინდესობამაც წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დალოცა სამღვდელო იქ დამსწრები თურთ. მერმე იმან მადლობა უძღვნა რუსეთის მმართველობას, რომელმაც ყოველგვარი შემწეობა და ასე დიდი პატივისცემა აღმოუჩინა იმას მგზავრობაში. — „მე არ ვეჭობ — სთქვა პატრიარქმა, — რომ ამისთანა დიდი ყურადღება რუსის მთავრობას მარტო ჩემი გულისთვის აღმოეჩინოს, ის იყო აღმოჩენილი უფრო სომხის ხალხის სასიყვარულოდ და არარატის წმ. ეჩმიაძინის ტახტის პატივ-საცემათ... პატრიარქმა დალოცა ხელმწიფე იმპერატორი და იმისი სახლობა. ამას შემდეგ იმან შესთხოვა ღმერთს, რომ აღასრულებინოს თავისი მძიმე მოვალეობა საეკკლესიო გამგეობის კეთილ-დაწყობილების შესახებ, ხალხის განათლების შესახებ, და ამასთან ისურვა, რომ სომხები ერთგული იყვნენ ხელმწიფე იმპერატორისა.“

ტაძრიდგან პატრიარქი გევორქი არქიეპისკოპოსის სახლში შევიდა და იქ მოისვენა.

იმავე დღეს მისმა იმპერატორების უმაღლესობამ გაგზავნა პატრიარქთან მეორე რანგის კაპიტანი, ობეზიანოვი, და იმის პირით მიულოცა ტფილისში კეთილად მოსვლა.

9 აპრილს დილას პატრიარქი გევორქი მისმა იმპერატორების უმაღლესობამ მიიწვია სანახავათ. პატრიარქს თან ახლდნენ ორი არქიეპისკოპოსი, ერთი ეპისკოპოსი და რამოდენიმე სამღვდელო პირი.

მისმა იმპერატორების უმაღლესობამ უთხრა: „მოგილოცავთ რუსეთის სახელმწიფოს საზღვარში შემოსვლას და იმედი მაქვს, ყო-

---

### რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ.

#### III.

ალდგომის მეორე დღე არის. მტკვრისკენ დაქანებულ აღმართზედ აურაცხელი საფლავებია მოფენილი ძველი, თუ ახალი, თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზედ: ზოგი ჯვრიანი, ლურჯი, მწვანე, შავი, თეთრი ფიცრისა; ზოგი სულ უჯვარო, -ესენი წმინდა ქართული მკდვრები არიან, — ზოგი საფლავის-ქვიანი. ზოგზედ არის ამოჭრილი და დახატული მკვდრის სახე; ზოგგან არის დახატული კაცი გვირგვინით და ქალი იალქნით, ზოგი ჩაქუჩით და წერაქვით, ზოგი წიგნით, ზოგი კამილავკით და სკუფიით, ამ სურათების შემწეობით ადვილი გასაგები არის, ზედაც რომ არ ეწეროს, მკვდარი რომელ ხელობას და ამქარს ეკუთნოდა. ან არა და ზედ საფლავებზედ არის წარწერილი: „მშვიდობით, სასიხარულო აღდგომის დღემდინ“. ამასთანავე თითქმის სულ ყველას აწერია: „მნახველნო, თითო შენდობა ბრძანეთ, თქვენ არ დაგაკლდებათრა, მიცვალებულის სულს კი ამითი ელხინება“. ან არის სამდურავი სიკვდილის სიმძვინვარეზედ: „ჰი, გესლიანო და უწყალო სიკვდილო — დაუნდობელო, რა უდროვოთ გამომაკელ ჩემს სწორ-ამხანაგსა! შე მუხთალო სიკვდილო, რას მერჩოდი“! „უწყალოვ სიკვდილო, რათ მომაშორე გულის მტრედსა!“ ან აგონებს მკითხველს, რომ იმასაც ის აღსასრული მიელის: „წამკითხველო, მეც შენსავით არა ვზრუნავდი, გახსოვდეს, შენც ეს მოგელის“... ზოგს სხვა და სხვა ყვავილებით აუყვავებია თავის მკვდრის საფლავი, ზოგი წითელ კვერცხებს უფლამს თავით მკვდრებსა, რომლებსაც იმ წუთშივე ამოაძრობენ ხოლმე პატარა — ბიჭები, ამ საქმეში გაგეშილები; ზოგს, უფრო შეძლებულებს, მარმარილოსი და სხვა მდიდარი, ძვირი ქვების ძეგლები დაუდგამთ თავიანთ მკვდრებისთვის, მოვარაყულის ასოებით ზედწარწერით: „Прощай, до радостнаго дня“! ამითი ზომამენ თავიანთ სიყვარულს და პატივ-სცემას მიცვალებულთადმი.... ბოდიშს ვითხოვ მკითხველთან, თუ მოვაწყინე თავი ასე უდროვოთ უკანასკნელი საგანის აღწერით. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

უმრავლესნი ცოცხალ-მკვდრები არიან, და უთვალავნი მკვდრები კაცობრიობისთვის, და ცოცხლების მავნებელნი და მომწამვლელნი, — ამიტომ ხშირათ, პოეტისა არ იყოს.

„სოფელი მჩანს სამარედ,
სადგურად ოდენ მკვდრების;
ვრბი და მსდევენ დასები
ოხვრათა ვალალებს“...

პატარა ხანს უკან სასაფლაოზედ ბუზსავით აირევა ქალი და კაცი; ყველა სალმრთოვალად რაცხს „სული აუხსნას“ თავის მკვდარსა, „ქრისტე აღდგათი“ მიულოცოს. საუზმითაც ბევრნი გამოდიან საფლავებზედ, ტირილს შემდეგ იქვე ძალიან ჩჰკრავენ ხოლმე სასმელსა, რომელიც „ახარებს გულსა კაცისასა“. წინადღეს საღამოზედ მღვდლის ჯალაბები თავიანთ მეუღლეების ახალუხებზედ ჯიბეების დაკერების თავდარიგს შეუდგებიან ხოლმე და არ სცდებიან — გამოადგებათ ხოლმე მეორე დღეს....

ჯერ ისევ დილა არის; „გლახების“ მეტი არავინ მოსულან სასაფლაოზედ; ყველა იმათგანი ცდილობს დაიჭიროს შესავალი გზაში, ისეთი ალაგი, სადაც უფრო ბევრი ხალხი ხვდება და სადაც მოწყალებას უფრო მისცემენ. — პატარახანს უკან გამოცხადდა გზაზედ, დამწკრივებული გლახებს შუა, დედაკაცებში და კაცებში თეთრწვერიანი, ძველ ფარაჯაში გახვეული ბერიკაცი, ნაყვავილარი, თვალებ ამღვრეული; იმის გრძელ წვერსა და თმას თითქოს თავის დღეში სავარცხელი არ მიჰკარებია, პირდაუბანელი, მხარზედ ხურჯინი, ცალ ხელში წყლის-ლიტრა და ცალ ხელში კეტი; ეს გახლდათ, თუ როდისმე გაგიგონიათ ან გინახავთ, მკითხველო, განთქმული (ერთმა უცხო ენის სიტყვიერების მოყვარე ქართველმა ბიოგრაფიაც შეუდგინა უცხო ენაზედ,) „ივანე გლახა“. ივანე გლახამ მაშინვე, ჩვეულებისამებრ, წაუტია-წამოუტივა გლახა დედაკაცებს და კაცებს, ჯერ დალანძღა „ხალხს ნუ აწუხებთ თხოვნითაო“, თუ უნდათ მოწყალების მოცემა, კარგათ გხედავენო“. მერე დაამწკრივა და შორს გააყენა გზიდგან, პარკებით პატარა — მთხოვრები ყმაწვილი ბიჭები, რომლებიც გლახაობას ჯერ სწავლობდნენ, იფრინა ივანე გლახამ და სულ გარეკა იქიდგან. მაინც საკვირველია, რომ კაცის ბუნება თავის მშვენებას ბევრჯელ არ დაჰკარგავს, დაჩაგრულ და დავრდომილ გვამშიაც გამოსჭვირს!. თუნდა წარსული ცხოვრება ივანე გლახასი არა გცოდნიყო, რომ ერთხელ შეგეხედნა, რაღაც უნებლიეთ პატივს უძღვნიდი ამ გაბურძგნულ კაცსა: გლახა იყო, მაგრამ თავის დღეში არ ითხოვდა, იდგა კუნჭულში თავისთვის; ბევრჯელ ჩემი თვალით მინახავს, რომ საკუთარი მოგროვილი ფული დაერიგებინოს გლახა-დედაკაცისა და კაცებისთვის, როდესაც ისინი აწუხებდნენ გამვლელ-გამომვლელ ხალხსა; ეს იყო „საწყალი ქრისტეს გულისთვის“ — სალმრთო-წერილი ეკითხნა და ბევრი ზეპირათ იცოდა; „საგლახაოში“ თავის კრაოტთან ფანჯარას წინ გრაფინის (შუშის) თავი დაეკიდნა ძაფით და მზე რომ მიადგებოდა, სხვა და სხვა ფერათ ჩანდა, - ამას იძახდა: „ნათელი ჭეშმარიტიაო“ ამ გვარად ბევრი წმინდანები დაეკეთებინა და ვინც მივიდოდა, უხსნიდა იმათ მნიშვნელობას; ეს მე თვითონ ვნახე ტფლისის საგლახაოში, სადაც იმან გაატარა უკანასკნელი დღეები სიცოცხლისა....

სასაფლაოზედ გლახა დედაკაცებიდგან გამოერჩია ერთი ბებერი და გამოსწია, სადაც ერთი ექვსიოდ მღვდლები იდგნენ შორი-ახლოს ერთმანეთზედ შემოსილები, საცეცხლურებით, ზოგი თავშიშველა, ზოგი კამილავკით, და მიეხალა ერთ იმათგანსა, „შენდობა მამაო“ და ხელზედ ამბორების შემდეგ, წაი-

ველს ლონისძიებას მოიხმართ სომხის ეკკლესიის სასიკეთოთ და გასამჯობინებლად“.

პატრიარქმა მადლობა შესწირა დიდი ყურადღებისთვის და დაარწმუნა, რომ მტკიცედ ავასრულებო ჩემს მოვალეობას სომხის ეკკლესიის შესახებ.

ამას შემდეგ დიდმა მთავარმა გადასცა პატრიარქს დიდი გრამატა, რომელიც დაამტკიცებს იმას თავის თანამდებობაში, და წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენის ნიშნები.

მისმა უწმინდესობამ გრამატა გადასცა არქიეპისკოპოსს და ალექსანდრე ნეველის ორდენის ნიშნები გულზედ დაიკიდა.

ამას შემდეგ დიდმა მთავარმა პატრიარქი მიიწვია სასახლის შინა სადგომებში, რომ მისი უწმინდესობა წარედგინა დიდი მთავრინის ოლგა თეოდორეს ასულის წინ; სასულიერო წოდება კი დარჩა ზალაში პატრიარქის გამოსვლამდის.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

სოფ. ხოვლიდამ.—ბევრმა „დროების“ მკითხველმა არ იცის რასაკვირველია, სად უნდა იყოს სოფელი ხოვლე. ეს გასაკვირველიც არ არის. ვისაც სურს საქართველოს ადგილების და სოფლების მდებარეობა შეიტყოს, ის უ-ვახუშტოთ ბევრს ვერას შეიტყობს. ზემოთ ნაჩვენები ხოვლეც აქვს მოხსენებული ვახუშტის. ის მდებარებს მშვენიერს ხეობაში, ხიდისთავის უჩასტკაში. ახალქალაქს რომ გასცილდება გორს მიმავალი ფოშტის გზით მარცხნივ დაინახავს ფერდობში, მაღლობს ალაგზედ, ერთს გაბნეულს სოფელს: ის არის ხოვლე.

აქ მცხოვრებნი არიან თავადთ ჯავახიანთ ყმობიდამ განთავისუფლებულნი 120 კომლი გლეხი; თვით ჯავახიანი შეადგენენ ხუთს კომლს. ხოვლე მისთვის ამოვირჩიეთ სალაპარაკოთ, რომ აქ თითქმის ყველა ქართლის სოფლებზედ ადრე დაარსდა შკოლა და გაიხსნა პურის მაღაზია. შკოლა გახსნა აქაურმა მღვდელმა გრიგოლ კავსაძემ თავის სახლებში გლეხკაცის შვილებისთვის, რომელთაც ასწავლის წერა-კითხვას, საღმრთო წერილს, ანგარიშს ქართულს ენაზედ და რუსულსაც. ყმაწვილები შკოლაში მოდიან ადრე, როგორც კი გათენდება და სწავლობენ ორს საათს დღეში; შემდეგ ყველა მიდის თავ-თავის სახლში სამუშაოთ. მასწავლებლათ არის თითონ მღვდელი და იმისი დიაკვანი ზედამხედველათ. ამასთანვე ხოვლეს ცხოვრებს ერთი ღარიბი ქვრივი დედაკაცი, აქაურის დიაკვნის დედა; იმას მღვდელმა მიაბარა რამდენიმე გლეხკაცის ქალი, რომელთაც ასწავლის როგორათაც წერა—კითხვას, საღმრთო წერილს და ანგარიშს, აგრეთვე ჭრა—კერვას და სხვა და სხვა ხელსაქმეს. ამ ქალების სწავლაზედ მე თითონ მიჭირავს თვალ-ყური და რაც საჭიროება მოითხოვს, ყველაზედ ყურადღებას ვაქცევ. ამ დედაკაცს შრომის ჯილდოთ ვაძლევთ წელიწადში თუმან ნახევარს. აგერ ერთი წელიწადია, რაც ყმაწვილების შკოლა არის და იმათში ერთი აღარ არის, რომ გარკვევით არ კითხულობდეს. ქალების შკოლა დიდიხანი არ არის რაც გაიხსნა, და იმედი არის ქალებმა თუ არ აჯობეს, ვაჟებზედ უკან არ დარჩებიან. გარდა ამისა მღვდელმა გახსნა მაღაზია და თითონ შესწირა ოცდა ათი კოდი პური. საგანი მაგაზიისა ეს არის: ვისაც დააკლდება პური იმას მიაქვს თავისის სარგებლით, რომელიც კალოზედ უნდა შემოიტანოს. ამაში, რასაკვირველია, ყველა მებატონე და გლეხკაციც კისრულობენ მონაწილეობას და მომავალს კალოზედ ვაპირებთ ყველამ თავ-თავის შეძლების დაგვარათ შევიტანოთ სამაგაზიო პური. თუ მშვიდობა არის, შემოდგომაზედ გვსურს სასოფლო ბანკის შედგენა, ის როგორც უკეთ დავინახავთ, ამ დაწყობილებით არც გლეხი შეწუხდეს და სარგებლობა და შეძინებაც ნახოს; მოსავალი გლეხკაცს ისევ სოფელში უნდა დარჩეს და აქვე იტრიალოს. ამ კეთილს საქმეებში დიდი მონაწილეობა აქვს, როგორც წინათაც მოგახსენეთ, სოფლურს მღვდელს: ის უქადაგებს ხალხს ეკკლესიაში, უქმე დღეებში ყოველთვის ელაპარაკება და რჩევას აძლევს. დიდათ სანატრელია, რომ სხვა მღვდლებმაც მიჰბაძონ ჩვენს მღვდელს და ახლა ყველანი გრძნობენ ჩვენის ქვეყნის საზოგადო სასარგებლოთ იმოქმედონ. უპირველესი საჭიროება არის ჩვენს სოფლებში ვაჟებისა და ქალების შკოლები, პურის მაგაზიები და პატარ-პატარა სასოფლო ბანკები. მ. ჯ.

ტფილისი. ამ ჟამათ ტფილისში დიდი შეყრილობაა საქართველოს თავად-აზნაურებისა კენჭის-საყრელად, რომელიც ამ დღეებში უნდა მოხდეს. თითქმის ეს შემთხვევა იყო მიზეზათ, რომ რამოდენმა ჩვენმა ახალგაზდებთაგანმა დააპირა ქართული სპექტაკლის წარმოდგენა. ეს სპექტაკლი იქნება მომავალს კვირას, ტფილისის თეატრში. როგორც ნამდვილათ ვიცით, ამ სპექტაკლში იქნება წარმოდგენილი დრამა „მაიკო“, სამს მოქმედებათ და ერთი მოქმედება კამედიისა: „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა.“ დრამა „მაიკო“ არის განსვენებულ თავ. გიორგი ერისთვის თხზულება, რომელიც პირველათ დაიბეჭდა წრეულს გიორგი ერისთავისვე თხზულების კრებაში, და ჯერ არა ყოფილა წარმოდგენილი. ვგონებთ ეს უკეთესი დრამაა ქართულს ენაზედ დაწერილი. როგორც გაგვიგია ამ დრამის საგნათ ნამდვილი ამბავია, რომელიც მომხდარა გორს. რასაკვირველია, ყველა მამულის მოყვარე ქართველს იამება ნახოს სცენაზედ წარმოდგენილი ნამდვილი საქართველოს ცხოვრებიდგან აღებული სურათი, გამოხატული ცხოვლათ ნიჭიერი მწერლისაგან.

იმედი გვაქვს, რომ ამ სპექტაკლს ყურადღებას მიაქცევს ჩვენი საზოგადოება, უმეტესათ მაშინ, როდესაც გაიგებს საზოგადოება, რომ ამ წარმოდგენიდგან შეგროვილი ფულით ღონისძიება უნდა მიეცეს ერთს საწყალს ახალგაზდა ნიჭიერ ქართველ ყმაწვილს რუსეთის უნივერსიტეტში წასასვლელად. ვისაც სურთ ადრევე თეატრში ალაგი დაიჭირონ, შეუძლიანთ ორშაბათიდგან, 8 მაისიდგან, ჩაეწერონ მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზე, რეიტერის სახლში. ამ სპექტაკლის აფიშები თავის დროს დარიგდება.

# პოლიტიკა.

ანგლიის მმართებლობა აღმოსავლეთის საქმეში. Daily News მოიხსენებს იმ მიზეზებს, რომლის გამოც ანგლია აღმოსავლეთის საქმეში ვერ ეთანხმება სხვა დიდს სახელმწიფოებს: „ხუთი ევროპის დიდი სახელმწიფონი დასთანხმდნენ, რომ ოსმალეთის მმართებლობას ერთად გაუგზავნონ თავისი ნოტა; მეექვსე დიდ სახელმწიფოს დიდი მამაცობა უნდა ჰქონოდა, რომ თავი შეემაგრებინა და ამ საქმეში არ გარეულიყო. რუსეთმა, ფრანციამ, პრუსსიამ, ავსტრიამ და იტალიამ ერთად ურჩიეს ოსმალეთის მმართებლობას, რომ კანდიელებს ამნისტია მიანიჭოს და მისცეს ნება, რომ კანდიის ხალხმა თავისუფლათ გამოაცხადოს თავისი წადილი: უნდა რომ ავტონომია მიიღოს პორტის უფლების ქვეშ, თუ ჰსურს საბერძნეთს შეუერთდეს. ამ ხუთი სახელმწიფოების წარმომადგინელები ამ საქმეში მეტად თავგამოდებით მოქმედებენ, მაშინ როდესაც ანგლიის ელჩს ენაც არ გაუნძრევია, რომ კანდია ოსმალეთს მოჰშორდეს და მარტო ამითი დაკმაყოფილდა, რომ კანდიას მიენიჭოს საკუთარი მმართებლობა, როგორიც არსებობს დუნაის სამთავროებში. სულთანს არ უნდა როგორც კუნძულის დათმობა, ისე ავტონომიის მინიჭება. იმისი მრჩეველები ცხადათ ხედავენ, რომ ავტონომია კანდიელებს ვერ დააკმაყოფილებს. ოსმალეთის მინისტრები თავს იმართლებენ იმითი, რომ კანდიის მფლობელობაზედ იმათ ტრაქტატებით დამტკიცებული უფლება აქვთ; ისინი მოელიან იმ დროს, როდესაც ისინი ძალდატანებული იქმნებიან, რომ კანდია საბერძნეთს დაუთმონ. ოსმალეთის მმართებლობამ კარგათ იცის, რომ ეს დრო კარგა შორს არის და ჯერ კიდევ შეუძლიან, რომ კანდია შეიმაგროს და არავის არ დაუთმოს. არა ვფიქრობთ, რომ ხუთმა ევროპის სახელმწიფოებმა ოსმალეთს ძალა დაატანონ, რომ იმათი სურვილი ეხლავე აასრულოს. იმათ კარგათ იციან, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, კანდია ოსმალეთს ხელიდგან გამოეცლება. ამას იქით კანდიელებს ყოველთვის შემწეობა მიეცემათ; იმათ ჯარის კაცები არ შემოაკლდებათ და სხვა და სხვა სამხედრო იარაღი; ამასთან საგძალსაც არ შემოაკლებენ. მაგრამ რა ქმნას ოსმალეთმა, როდესაც იმას ფული მშვიდობიანს დროსაც არა ჰყოფნის და ეხლა რით ამოუვია იმ ტყუილ უბრალო ხარჯს, რომელსაც ის მოიხმარებს კანდიის დამორჩილებაში და რომელიც დღეს იქნება თუ ხვალ იმისი აღარ იქნება. ოსმალეთი სხვა და სხვა ცრუ აზრებით (სოფიზმებით) თავს იმართლებს, რომ იმას არ შეუძლიან კანდიის დათმობა. არც სულთნის მინისტრს უნდა, რომ დაუთმოს ერთი მტკაველი მიწაც, რომელიც უჭირავს ოსმალეთს. ჩვენთვის გასაკვირველი არ არის, რომ ოს-

---

ყვანა ეს მღვდელი საფლავის საკურთხებლათ...

ერთ მიწასთან გასწორებულს საფლავს დაადგნენ; თავით მარტო ერთი წვეტიანი ქვა იყო ჩარჭობილი; მღვდელმა დიაკვნით დაიწყო საფლავის კურთხევა. ბებერმა დედაკაცმა, რაც კოლიო (წანდილი), კვერები და წითელი კვერცხები მოეგროვებინა დილას აქეთ, გამვლელ-გამომვლელების თხოვნით, ერთათ ჩაყარა ქონიანს ხელსახოცში და ის იმ საფლავზედ გაშალა; მერე დაეცა მუხლებზედ საფლავის გვერდით და ისე წამოჩოქებულ ცრემლათ იღვრებოდა, თანაც მოსთქვამდა: „ჰაცო, რომ იცოდე რამტელი ტანჯვა გამოვიარეთ შენმა ოჯახობამ, რომ იცოდე, რომ თვე გავა ერთმანეთი ვერა ვნახოთ, რომ იცოდე, რა სისხლის პურსა ვსჭამთ, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რომ იცოდე როგორ შეგვარცხვინა, თავზედ ლაფი დაგვასხა, წაგვწყმიდა სულითაც და ხორცითაც, დაგვღუპა ორსავ სოფლად, საქაოსაც და საიქაოსაც, ჩვენმა ქალმა,—ეს რომ იცოდე, ბევრს აღარ შეგვნატრებ, არამთუ არ შეგშურდება ჩვენი ამ სოფლად სიცოცხლე, მოგვიკითხავ კიდეც ჩვენც შენთან, რომ ამოიფხვრას სულ ჩვენი სახსენებელი ამ ქვეყნიდგან“... ეს გლახა დედაკაცი ვის უჩივის და საიქოს წასვლას რათა რჩეულობს-ამას შემდეგ შევიტყობთ. ვინ არის ეს მკვდარი, რომ ასე გულჩათუთქული ბებერი დასტირის, ამასაც ეხლავ გავიგებთ მღვდლისა და დიაკვნის გალობიდგან. საღმრთო საგალობელი მიცვალებულზედ:

—„შენ ხარ ღმერთი, რომელი შთახედ ჯოჯოხეთად და დასხენ სალმობანი შესვენებულთანი, აწცა განუსვენე სულსა მონისა შენისა გლახასასა...“

—„განსასვენებელსა შენსა, მაცხოვარ, სადა ყოველნი წმინდანი მკვდარ არიან, აწცა განუსვენე სულსა მონისა შენისა გლახასასა..“ მერე მღვდელმა ბრძანა „ასამაღლებელი:“ რამეთუ შენ ხარ აღდგომა და ცხოვრება და განსვენება სულისა მიცვალებულისა გლახა (ბედკრულაძისა) ქრისტე ღმერთო და სხვ........

დიახ, ეხლა მიხვდი, მკითხველო, რომ ეს მკვდარი გლახა ბედკრულაძე არის და ეს მთხოვარა-დედაკაცი იმისი ცოლი ელისაბედი არის; ეხლა ამას ელისაბედი აღარა ჰქვიან, ეხლა ბერ-ხანუმას ეძახიან. იქნება მკითხველმა ბრძანოს, ეს რა ამბავი არის, რომ ყველას სახელები და გვარიც კი ეცვლებაო.... ასეა, ჩემო ბატონო, ამ ხალხის ბედი ნამდვილ სიცოცხლეში: ვისაც რა უნდა, იმას დაარქმევს ამ ხალხსა, იმათ არ შეუძლიანთ სიტყვა შეუბრუნონ თავიანთ ალებსა „სხვა სახელი დაგვიძახეთო“ და ამ გვარად დღეს, ხვალ, ზეგ და დაერქმევათ ხოლმე სხვა და სხვა სახელები. თითქმის იშვიათი მოსამსახურე ბიჭი და გოგო უნდა, რომ ნათლობის სახელი შერჩეს ბოლომდინ. ხან და ხან მოსამსახურე ბიჭებს არამთუ სხვა და სხვა სახლებში სხვა და სხვა სახელებს ეძახიან, ბევრჯელ ერთსა და იმავე სახლში ყველა თავისებურათ ეძახის სახელსა; მაგ. სახელი ჰქვიან პეტრე: ერთგან ეძახიან პეტრიკას, მეორეგან პეტრუზას, მესამეგან პეტრუშკას და სხვ. თუ ოჯახში ვისმესა ჰქვიან ბიჭისა ან გოგოს სახელი, მაშინვე შეუცვლიან ბიჭსა ნათლობის სახელს და სხვას დაარქმევენ....

საფლავის კურთხევის შემდეგ, ბერ-ხანუმამ მიართო მოძღვარს საკურთხებელი, რაც რიგია, დიაკვანმა კოლიო, კვერები და კვერცხები გადილო და წავიდნენ...

ბებერი წამოვიდა და ისევ გლახებში ჩადგა; როგორც სხვანი, იმანაც დაიწყო: барина, сударина, Христе ради, барина....ღვთის გულისთვის შეეწიეთ უსინათლოსა....

გლახა ბედკრულაძის ჯალაბმა ბევრი გზა გაიარა ეკლიანი, მანამ ელისაბედობიდგან ბერ-ხანუმობას მიახწევდა. ბევრ ოჯახში იყო მოსამსახურე დედაკაცათ: დურმიშხანიდგან მღვდლის სახლამდის ბევრი შავი დღე ნახა. ბევრგან ცილი შესწამეს სხვა და სხვა ცოდვაში; ბევრგან წლის ჯამაგირი დაეკარგა; ბევრი კაპასი ქალბატონების სილები უნახავს იმის ლოყებსა, სულ რომ ჩამოვთვალოთ შორს წავა და იქნება მკითხველსაც თავი მოვაწყინო, თუ ჯერ კიდევ არ მომიწყენია...მოკლეთ ვიტყვი, რომ ელისაბედს, მანამ ძალი და ღონე ჰქონდა, ყველგან ერთგულათ და პირნათლათ ემსახურებოდა, მუშაობდა მუყაითათ და სვინიდისიანათ, მაგრამ ბევრი ხანი არ გაჰყვება ჯანმრთელობა ამ გვარ ბეჯითს მუშას,-ბევრგან სიმართლე არ გადის!.. ადრე დაუსნეულდა ტანი ბერ-ხანუმას დაუცხრომელი ჯაფისაგან და ცალი თვალიც გამოეშრიტა საუბედუროთ. საღს და ჯანმრთელსაც არა აქვს შეწყნარება და სნეულს, ცალთვალიან დედაკაცს ვინღა შეუშვებდა სახლში. ერთი უკანასკნელი ღონისძიება და ნუგეშიღა დარჩა, რომ შიმშილით სული არ ამოხდომიყო,—მთხოვრობას მიმართა ხელი...

ჯერ კარ-და-კარ დადიოდა სათხოვრათ, მერე ველარ შესძლო, რაკი ხანში შევიდა, შემდეგ ეკკლესიების შესავალში იდგა ხოლმე და მოწყალებას ითხოვდა; მაგრამ აქ ჩქარა მიაგნო „ივანე გლახამ“, ამას იქით იქ აღარ ებოგინებოდა: რაღაც ეშმაკათ ამოითვალწუნა, (ესეთი ხასიათი ჰქონდა) და ეჯავრებოდა ივანე გლახას ოთხიოდ მთხოვარი—დედაკაცები, იმათში ბერ-ხანუმაც ერია; სადაცკი მოახელებდა ამათ, იფრენდა კეტით, ლანძღვით და სულ კუდით ქვას ასროლინებდა ხოლმე. ივანე გლახასი ყველა მთხოვარს ეშინოდა, და რაღაც ხათრი და მორიდება ჰქონდათ იმისი,—ეს რაღაც უსტაბაში იყო მთხოვრებისა....

ეკკლესიების კარის—ბიჭებსაც რომ მოაშორეს ჩვენი ანა-ხანუმი (სულ ერთია, ბერ-ხანუმაც), მაშინ იშოვნა პატარა ნაბდის ძველა, წყლის ჭინჭილა, ერთი ორი აღლი ძველი მიტკალი, ძალზედ შემჭვარტლული, ყვითელი და გაჭუჭყიანებული, ამას თავზედ წამოიფარებდა ხოლმე, „ჩადრს“ ეძახდა....

მოიკეცავდა გზის პირზედ, სადაც უფრო ხალხი დადიოდა. თითო თვეს თითო გზას იცვლიდა; ამ ნაირად თითქმის სულ შემოია-

მალეთი მშვიდობიანის გულით ვერ უყურებს თავის მომავალს სვეს და არცა ჰსურს, რომ რაიმე დაუთმოს თავის სამფლობელოებიდგან. ოსმალეთის მმართებლობა უკანასკნელს თავის სულის ამოსვლამდის ხმალს არ უღალატებს, იმ ხმალს, რომელმაც იმისი მყოფობა და სიმძლავრე დაამტკიცა. ის იბრძოლებს, მანამდის იმას ბოლო არ მოეღება იმ სახელმწიფოებსავით, რომლებსაც თითონ იმან ამ ოთხი საუკუნოს წინათ ბოლო მოუღო. ჩვენ ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თუ ანგლიაც სხვა სახელმწიფოებთან ერთად არ მოითხოვს, რომ პორტამ კანდია დაუთმოს, მაინც წინააღმდეგი არ გახდება კანდიის დათმობაზედ. ჩვენ ვურჩევთ პორტას, რომ ის საქმეების ბუნებითის მიმდინარეობის წინააღმდეგი არ გახდეს.“

**ფრანცია.** გაზეთი Avenir National-ი, რომელმაც ხმა გაავრცელა საომრათ მზადებაზედ, სამართალს მისცეს, ვითომც ჭორების გავრცელებისთვის; ამის მიზეზი იყო ორი წიგნი, მოწერილი ლიონიდამ და დაბეჭდილი Avenir National-ში. ეს წიგნები შეიცავენ შემდეგს: „ლიონი, 13 აპრილს. რამდენიმე დღის განმავლობაში რკინის გზით აქ მოაქვთ მრავალი სამხედრო იარაღები, ზარბაზნები და სხვა. მე ვნახე ოციოდე ვაგონი, რომლებიც დატვირთულნი იყვნენ ამ ნივთებით. ზარბაზნები იმ გვარათ არიან ყუთებში ჩაწყობილნი, რომ პირველი შეხედვით ვერ მიხვდები, თუ რა იპოვება იმათში. დარწმუნებთ, რომ ეს ამბავი მართალია.

„ყოველ გვარი იარაღები და არტილლერია აღმოსავლეთის საზღვრისაკენ გაიგზავნა.“

**საბერძნეთი.** რიჩიოტტი გარიბალდიზე. ათინის კამიტეტმა იგრძნო, რომ რიჩიოტტი გარიბალდის და იმის თანამშრომელთ ყოფნა კანდიის კუნძულზე დიპლომატიისთვის საწყინარია და შეიძლება საქმე გაიხლართოს, ამისთვის რიჩიოტტი გარიბალდის და იმის ამხანაგებს ურჩიეს, რომ დაბრუნდნენ იტალიაში; მაგრამ ამ კამიტეტმა გამოსალმების დროს დიდი სადილი გაუკეთა იმათ. ათინის შკოლების მხრით დეპუტაციამ მადლობა გამოუცხადა რიჩიოტტი გარიბალდის და იმის ამხანაგებს, კანდიის საქმის შემწეობისთვის.

ბელგრადში (*) დაწესდა კამიტეტი შემწეობის მისაცემათ კანდიელებისთვის. ამ კამიტეტმა შეაგროვა 30 ათასი ფრანკი, რომელიც გაეგზავნა იმათ, და ამასთანავე გადასცა ადრესი: ადრესში სწერენ, რომ ბერძნები და სერბები ქრისტეს მიერ ძმანი ვართო და ისტორიული დამოკიდებლობაც გვაქვსო, ამისთვის საერთოთ უნდა დიდი საქმე შევასრულოთო, განათლებისა და კაცობრიობის სასარგებლოთ.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**ათინა,** 1 (13) აპრილს. როგორც საბერძნეთის უწყება გვაცნობებს, კანდიის კუნძულზედ მღელვარება არ შესუსტებულა.

საბერძნეთის მმართებლობამ მიიღო ოსმალეთის მმართებლობისაგან სამუქარო ნოტა და ამ ნოტაზე მინისტრმა უპასუხა საცირკულიარო დეპეშით, რომელიც საბერძნეთის აგენტებს გაუგზავნა.

ომერ-ფაშა 3 ათასი ოსმალეთის ჯარით კანდიაში მოვიდა.

**კოსტანტინოპოლი,** 1 (13 აპრილს.) ფრანციის ელჩმა კოსტანტინეპოლში, უ. ბურგემ ოსმალეთის მმართებლობას რჩევა მისცა, რომ თავისი ფლოტი ანგლიის ადმირალს მიანდოს კანდიის კუნძულის მცხოვრებლების შესავიწროებლათ.

4 (16) აპრილს. ეგვიპტის მინისტრი, ნუბარ-ფაშა, ისევ კოსტანტინოპოლში იმყოფება. ოსმალეთის მმართებლობა თანახმა არის, ეგვიპტის ვიცე-კაროლს უფლება მისცეს, რომ თავის სამფლობელოში მოახდინოს საადმინისტრატივო, საფინანსო და სამსჯავრო რეფორმები.

კანდიის კუნძულიდამ სასიამოვნო ამბავია მიღებული. ცეცხლის-გემს „არკადიონს“ დაუბრკოლებლათ მოაქვს კანდიის ინსურგენტებისთვის სამხედრო იარაღი და საგძალი, და აგრეთვე მოჰყავს ვოლონტერები.

ოსმალეთის სამხედრო რჩევაში კანდიის კუნძულზე, ომერ-ფაშის თავსმჯდომარეობით, დასდეს სამხედრო მოქმედების პლანი, რომელიც წარმოსთქვეს ორმა რენეგატმა (მიქცეულმა) პრუსსიის სამსახურში ნამყოფმა აფიცრებმა. ამის გამო მოელიან, რომ ომერ-ფაშა 20 ათასის კაცით კანდიელებს შეებძვის, შემოერტყმის თვით კუნძულს და სრულებით აოხრებს იმას.

რუსის ელჩმა, გენერალმა იგნატიევმა, ახალი ადრესი მიიღო კანდიელებისაგან. იმაში პროტესტს აცხადებენ დეპუტატების ამორჩევაზედ ოსმალეთის მმართებლობისაგან და შემწეობას ითხოვენ თავიანთ ცოლ-შვილისთვის. რუსეთის ელჩმა ეს ადრესი სხვა ელჩებს გადასცა კოსტანტინეპოლში, მაგრამ, რადგანაც იმათ ინსტრუკცია არა აქვთ თავიანთ მმართებლობისაგან, ამიტომაც ყურადღებას არ აქცევენ ამ საგანს, და ელიან, თუ რა ბოლო ექნება ომერ-ფაშის გალაშქრებას.

პრევიზის მახლობლათ გამოჩნდნენ საბერძნეთია ვოლონტერები. ალბანიაში მღელვარება ვრცელდება.

იერუსალიმში 15 (27) აპრილისთვის მოიშლება ძველი გუმბათი ქრისტეს საფლავის ტაძრისა და ოსმალების ჰარემი ტაძრის გვერდით.

**პარიჟი,** 6 (18) აპრილს. პარიჟის გაზეთებს სამშვიდობოთ არ მიაჩნიათ პრუსსიის კაროლის სიტყვა, რომელიც იმან წარმოსთქვა ჩრდილო-გერმანიის რეიხსტაგის დახურვის დროს, რადგანაც ამ სიტყვაში არა არის რა ნათქვამი მშვიდობიანობის დასაცველათ.

**ბერლინი,** 7 (19) აპრილს. ნამდვილის წყაროდგან გვაცნობებენ, რომ რაც ბერლინში ხმა არის გავრცელებული პრუსსიის მზადებაზე საომრათ, სულ სიცრუვეა. აქამომდე არაფერი მზადება არა არისრა.

**ლონდონი,** 8 (20) აპრილს. პარიჟის კორრესპონდენტი გაზეთში „Times“ სწერს, რომ ბისმარკმა გადაჭრილი უარი უთხრა ფრანციას ლუქსემბურგის დათმობაზე. ფრანციის არმია კი დამზადებულია ყოვლის შემთხვევისთვის.

**ლონდონი,** 9 (21) აპრილს. ფრანციის მმართებლობამ შეუკვეთა ანგლიის ფაბრიკებს დამზადება 40,000 თოფისა, რომელნიც კუნძიდამ იტენებიან; ამ თოფების უმეტესი ნაწილი ფრანციის მმართებლობამ მიიღო, დანარჩენს მალე მიიღებს.

გლადსტონმა ხელი აიღო ამას იქით ანგლიის პარლამენტში ლიბერალების პარტიის წინამძღომლობაზედ.

**ნიუ-იორკი,** 8 (20) აპრილს. აქ ამბავი მოვიდა, რომ იმპერატორმა მაქსიმილიანემ სურვილი გამოაცხადაო ზოგიერთი პირობით დარჩეს პრეზიდენტს ხუარესს, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაქსიმილიანეს სრული დამორჩილება მოსთხოვა.

რუსეთი შეერთებულს შტატებს თავისს ამერიკის სამფლობელოს ათ მილლიონ დოლარათ უთმობს. ამ სამფლობელოს ახლანდელს მცხოვრებლებს ნება ექნებათ რუსეთში გადასახლებისა, თუ კი ისურვებენ.

**პარიჟი,** 11 (23) აპრილს. გაზეთში Etendart სწერენ: სამხედრო მინისტრმა ცირკულიარი გაუგზავნა ჯარების უფროსებს, რომ, რადგანაც რეზერვებისათვის საჭირონი არიანო ექვსის თვის ვადით დათხოვნილნი აფიცრები და უნტერაფიცრები, ამისთვის ისინი უნდა გამოცხადდნენო თავის პოლკებში ამ წლის 18 (30) აპრილისთვის.

გუშინ მარშალი მაკ-მალონი პარიჟში მოვიდა. როგორც პარიჟის, აგრეთვე სხვა ქალაქების ბირჟებიც დაუცხრომელს მდგომარეობაში არიან.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 1 მაისს. 30 აპრილს საბერძნეთის კაროლი პეტერბურგს მოვიდა. ხელმწიფე იმპერატორს მოსკოვიდამ 2 მაისს ელიან.—ლონდონის კონფერენციამ თავისი მოქმედება გაათავა; ტრაქტატზე ხელი მოწერილია; ერთ თვეზე რატიფიკაცია იქნება.—პრუსსია ლუქსემბურგიდამ უნდა გამოვიდეს და ლუქსემბურგი გერმანიის სადამოჟნო კავშირში უნდა შეირაცხოს. ფრანცია შეიარაღებას თავს ანებებს.—ომერ-ფაშა 16 ათასი კაცით დგას სფაკიის შესავალში; ყოველ-ჟამს დაბოლოებით ბრძოლას მოელიან.

## სხვა და სხვა ამბავი.

ქალი კონსულის თანამდებობის აღმასრულებელი.

ერთს ანგლიის საპორტო ქალაქში შეერთებულის შტატების მმართებლობამ დანიშნა კონსულად მისტრისს (ქალი) ფრანცისკა ლორდ ბონდი. ეს არის პირველი მაგალითი, რომ ქალი უცხო ქვეყნელ სახელმწიფოში კონსულად დაინიშნა. გაზეთი Sunday Times-ი, რომელიც ამ ამბავს გვაცნობებს, კითხავს; „როგორ უნდა შევხედოთ ამ გვარ და-

(*) ბელგრადი—სატახტო ქალაქია სერბიაში.

---

რა ტფილისის უპირველესი ქუჩები; ღამე ხან იქვე კუნჭულში გაათენებდა (თუ თბილოდა), ხან ერთი ბებერი დედაკაცი ჰყავნდა ნაცნობი მუხრანიანთ ხიდთან, იმის დერეფანს ეწვეოდა ხოლმე...ბოლოს ქართულ სემინარიასაც მიაგნო; პატარა პირგანიერი კოჭბით და გაშლილი კაბის კალთით სადილის დროს კარებში ჩაჯდებოდა და სადილიდგან გამომავალი შაგირდები პურის ნატეხებს აძლევდნენ......

ბერ-ხანუმა ხშირათ მივიდოდა და ამოეტუზებოდა მთაწმინდაში ერთი დაბალი სახლის ფანჯარას, თანაც შესძახებდა იქიდგან გადმოყუდებულს თავ-პირ გაწითლებულს, კბილებ გაშავებულ, ტუჩებ და ცხვირ დასიებულს ქალს: „შვილო, რაზედ გვარცხვენ, თავს რაზედა გვჭრი ამ ქვეყანაში მე და შენ ძმებსა; საიქიოს-რაზედ სწყმენდავ მამიშენის სულსა; შვილო, მამიშენის სიმართლე განა მაგას მოითხოვდა? ის მაინც მოასვენე საფლავში, თუ მე არას დამდევ: მე ჯანი გამვარდეს, შვილო, ღმერთი მოიგონე სადა ხარ, ვისთანა ხარ, რამ და ვინ ჩაგაგდო მაგ ალაგას...... შვილო, როგორ ისვენებ მანდ? ვაიმე, რატომ ქვით არ ჩამქოლეს ამისთანა დედას“!.... ამისთანაებს ჩამოსთვლიდა წუწუნითა, თან ტიროდა და იწირპლებოდა.... ქალი ჯერ თავ-ჩამოკიდული იყო, ვითომ სწუხდა თავის ცხოვრებაზედ, მერე კი ეტყოდა ხოლმე: დედი, ღმერთმა ხომ იცის, აბა რა მომაგონებდა, ან რა გამაბედინებდა აქ დგომას, აი, ჩემი ცოდვის მოვალე იყოს და პასუხი გასცეს ღმერთსა, ვინც მე აქ ჩამაგდო და ჩამაბა; მაგრამ, დედი, ღვთის წინაშე, აქ კი უფრო კარგათ მოსვენებითა ვარ, მინამ იმ ოჯახში, სადაც აქამდის ვიყავი; ვითომ ნამუსიანს მეძახდნენ, მაგრამ ჩემყოფაში ძაღლიც არ იყო. აქ არავინა მცემს, არა მტყეპს, დედ-მამას ურიგოდ არავინ მიხსენებს, მუცელსაც ვიძღობ, კარგათაც მაცვია, მთელი დღე ჩემ ტოლებში სულ მუზიკას ვუკრავთ.....

— შვილო, საიქიო რა არის, ეტყოდა დედა, მაშ შენ სულ დაგვიწყებია: ღმერთი, სული, საიქიო?!....

— არა, დედი, მაგას ნუ იტყვი, მე ბევრზედ უფრო კარგათ მახსოვს, თუ ღმერთმა დამაცალა, ნუ გგონია, ასე ცოდვილი მოვკვდე. ღვთისა ძალიან მეშინიან, ჩემთვის პატარა ხატი მაქვს და ვლოცულობ ხოლმე; მაგრამ ნეტავი ცალიერი პური მაინც მაჭამოს და მიმსახუროს ვინმე, დღესვე გამოვალ აქედგან... მეც ადამიანის შვილი ვარ... რა წყალში გავარდე.. ამ გვარად მოიტირებდა, მოიგლოვებდა, თავის წამწყმედელ ცოცხალ-მკვდარს, როგორც ამბობდა ხანუმა, ქალს და წავიდოდა თავის გზაზედ. ფულს შეაძლევდა ხოლმე ქალი, მაგრამ დედა უკანვე გადუგდებდა...... ბოლოს ერთხელ კიდევ შეხვდნენ დედა-შვილნი „ქალაქის საავათმყოფოში“ და ის-ის იყო გამოესალმნენ ერთმანერთსა საიქიომდის. ამ უკანასკნელ ნახვას თავის ალაგს მოვიხსენებ...

ბერ-ხანუმასთვის ბედს ის ერთი თვალიც შეშურდა და მოაკლო ქვეყნის სინათლესა; ორი თვალით ბრმა ბერ-ხანუმას სიკვდილი პირში შეჰყურებდა, მაგრამ ამ დროს შვილმა მოხედა, გროშოთ რომ იყო, და უპატრონა რაც შეეძლო; ყოველ დილით აიღებდა წყლის ლიტრას, ჯოხს, ნაბდის ძველას, დაუჭერდა თავის ბრმა დედას ხელსა და ისე გაძღოლით გაიყვანდა ქუჩაში, დასვამდა ბულვარზედ, წინ პატარა ტილოს გაუშლიდა, იმაზედ ორიოდე გროშით ქაღალდს, რომელზედაც ეწერა ქართულათ და რუსულათ, ვითომ ამ ბრმა დედაკაცს შვილი მოსტაცეს ლეკებმა, ტყვეთა ჰყავთ და იმის გამოსახსნელათ აგროვებს ფულებსა. ის კი არ იცოდა, რომ ასე ადვილათ ვერ მოატყუებდა ჩვენ ტფილელებსა!.. საღამოზედ მოვიდოდა შვილი და შინ წაიყვანდა ხოლმე.... დრო გადიოდა და ბერ-ხანუმას თან და თან მუხლები ეკვეცებოდა მთელი დღე ჯდომით სიცხეში, სიცივეში, ქარიშხალში, ავდარში, ტალახში...

ბოლოს ერთ ზამთრის ღამეში, როდესაც ვიღასთანაც, იარმუკაზედ, კვირა საღამოს იმის გროშუა-შვილს ერთ უცხო ტომის კაცთან ჩხუბი მოუვიდა, რადგანაც იმან დამპალი წაღები შეატყუა და ფულს არ უბრუნებდა, ჩვენი გროშო წაიყვანეს და პოლიციაში ჩასვეს. იმ ღამეს იქ გაათია, რასაკვირველია, დედის წასაყვანათ აღარ სცხელოდა და არც არავინ გამოუშვებდა; იმისმა დედამაც ცისქვეშ გაათია, მაგრამ, მკითხველო, შენმა მტერმა ნუ გაათიოს ამგვარად ღამე.—ის მჯდომარე დედაკაცი იმგვარად გამხმარიყო და გაფიჩხებულ იყო, რომ საძრაობა აღარ ჰქონდა, თავი კალთაში ჩაედვა, ფეხები მოეკრუნჩხა, ხელებით დაწერილი ქაღალდი და ორიოდე გროში მაგრა დაბღუჯული ეჭირა. ამ ყოფაში ნახა ბულვარის მგველმა რუსმა თოვლის ხვეტაში.-ჩქარა შეიყარნენ კვარტალნი, დესიატნიკები, შესდვეს პოვოსკაზედ და წაიღეს, სადაც კანონი და წესია ამგვარი ვითომ უეცარი მკვდრების წარდგენისა; იქ ბევრი ზილეს სპირტითა, არაყითა, მაგრამ სული ველარ მოუბრუნეს... ჯერ იქამდის არ მისულა საექიმო მეცნიერება, რომ მკვდარს ადამიანს სული ჩაუდგან....

გაყინული ტანი რომ გათბა, სულ დაიშალა, ასო ასოს მოშორდა და წალა გადმოვიდა. მეტი ილაჯი არ იყო: ბილეთი მისცეს მკვდარს: დავრწმუნდით, რომ დამარხვის მეტი ამას არა გაეწყობა რა, ჩვენ ცოცხალი გვეგონა, მაგრამ ჭეშმარიტი მკვდარი ყოფილა, რომელსაც დამარხვის მეტი წამალი არა აქვს ქვეყანაზედაო, ბძანეს ექიმებმა......

ასე ჩაჰფლეს და დამარხეს ჩვენი ბერ-ხანუმა ერთ ჰილობში გახვეული.—არცკი არავინ იყო გულის შემატკივარი, რომ ეთქვა: საუკუნოთ იყოს სახსენებელი მისი....

ნიშნავს? Იქნება მოხდეს, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტატაც ქალი ამოირჩიონ?“

—ჩვენ შეგვიძლიან ვუპასუხოთ, რომ ამაში არაფერი გასაკვირველი არ არის, რადგანაც ეს არა ნიშნავს კონსტიტუციის გამოცვლას და დარღვევას; კონსტიტუცია არაფერს განრჩევას არ აწესებს ქალსა და კაცს შორის; კონსტიტუციის ყოველი პარაგრაფი მიეწერება როგორათაც კაცს, ისე ქალს.

---

**პარიჟის ახალი ამბები.** „სანაციონალო გაზეთში“ პარიჟიდამ სწერენ, 8 აპრილს: „გუშინ, კვირას, გამოფენაზედ იყო ძალიან მცირე ხალხი, თუმცა მშვენიერი ტაროსი (დარი) იყო; ეგონათ, იმპერატორი გამოფენაზედ მოვაო, მაგრამ ის არ მოვიდა, უთუოდ იმ მიზეზით, რომ იმპერატრიცა ცოტათი ავათ არის. მარსის მინდორზედ სხვა და სხვა შენობებს აშენებენ; ეხლა მეხიკის ტაძრის შენობა გაათავეს, აგრეთვე Ტუნისის ყავახანა და სადალაქო ააშენეს; ამ შენობებს პუბლიკამ დიდი ყურადღება მიაქცია. Ეგვიპტის ვიცეკაროლი აპრილის გასულს პარიჟში მოვა. Ლათინურს კვარტალში სტუდენტების ყრილობა მოხდა; სტუდენტებმა მოილაპარაკეს იმაზედ, თუ როგორ მოიქცნენ ისინი ეხლანდელს სახლების და ხორაგის სიძვირეში გამოფენის გამო. პარიჟელებს ეგონათ, რომ გამოფენა იმათ გაამდიდრებდა. მაგრამ ეს იმედი იმათ სრულებით არ აუსრულდებათ. Ღარიბი ხალხი საშინელს გაჭირებაშია, რადგანაც ყველაფერი დაძვირდა პარიჟში. Ამბობენ, რომ აბრეშუმის მრთველები და სხვა მუშები მუშაობას თავს დაანებებენო.

„Აი რა გადასწყვიტეს პარიჟის სტუდენტებმა სახლების დაძვირების გამო: Ყველა სტუდენტი, რომელსაც სახლის პატრონი მომეტებულს ფულს მოსთხოვს, არ დასთანხმდება იმის თხოვნაზედ და გავა იმის სახლიდამ, თუ სახლის პატრონმა უთუოთ მოითხოვა მომეტებული ფული; შემდეგ ამისა იმან ეს უნდა აცნობოს ამ საქმისთვის შემდგარს კამიტეტს. სტუტენტმა უნდა შეატყობინოს კამიტეტს იმ სახლის პატრონის სახელი და გვარი, რომელმაც იმას მომეტებული ფასი მოსთხოვა. Კამიტეტში თორმეტი წევრი იქნება; კამიტეტი გამოაცხადებს იმ ცნობებს, რომლებიც იმის უწყებას შეეხება. Კამიტეტში იქნება ორი სია; ერთში ჩაიწერება სახელი და გვარი იმ სახლის-პატრონებისა, რომლებიც არ მოითხოვენ სახლის ქირის მომეტებას და მეორეში ისინი, რომლებიც მოუმატებენ სახლის ქირას. Ეს სიები საყოველთაოთ გამოცხადდებიან. მომავალში სტუდენტებმა არ უნდა იქირაონ ის სახლები, რომლის ქირასაც ეხლა სახლის-პატრონები გაადიდებენ. Გარდა ამისა სტუდენტები აცნობებენ ამ სახლის პატრონების სახელსა და გვარსა თავის ახალ ამხანაგებსაც და ეცდებიან, რომ იმათმა ნაცნობმა მოგზაურებმაც ეს სახლები არ იქირაონ.“

**საპოლიტიკო ანეკდოტები პარიჟის ცხოვრებიდამ.**

პარიჟში ყოველი გვარი საზოგადოება ამ ჟამად მხოლოდ ამაზედ ლაპარაკობს—ომი იქნებაო, თუ მშვიდობიანობა. Ამის მეტი სალაპარაკო ამ დროში იმათ თითქმის არა აქვთ რა. Დიპლომატების გადაკვრით ლაპარაკი, მინისტრების განცხადება და სჯულის-დამდების კრების წევრების ბაასი, ჟურნალების სჯა—სულ ესეები მრავალ ანეკდოტების საგნათ შეიქნა. Ამ გვარი ანეკდოტები მალ მალე ვრცელდება და გადადის ხალხში. Აი ზოგი ამ გვარ ანეკდოტებთაგანი: Ამ ცოტახანში გენერალმა ბურბაკმა ვოლტიჟერების პოლკი დაათვალიერა—„შვილნო ჩემნო, აი სადაც არი, ის დროც მოაწევს, როდესაც უნდა გამოიჩინოთ თქვენი სიმამაცე“—უთხრა გენერალმა. პოლკმა ტაშის კვრით გასცა პასუხი გენერალს.—„Დაიცა, გამიგონეთ: უნდა გითხრათ, რომ შასპოს თოფებს ველარ მოგცემენ. რაც კია მომზადებული, იმას ყველას რეკრუტებს და ახალგაზდა სალდათებს ურიგებენ. Თქვენ, ძველნო მხედარნო, უიმისოთაც შეგიძლიანთ მოქმედება“. Ამას შემდეგაც ტაშის-კვრა კიდევ უფრო გააძლიერეს. მეორე ანეკდოტი: Ამბობენ ვითომც ნაპოლეონ III ეთქვას ეს სიტყვები: „პრუსიამ რამდენიმე აბი გადამაყლაპა; მაშ ახლა იმან ხვლიკები ყლაპოსო!“. Ეჭვი კი არის, რომ ნაპოლეონს ეს სიტყვები ეთქვას: ის იმგვარი კაცი არ არის, რომ წინდაწინვე დაიკვეხოს. Ამბობენ კიდევ, ვითომც სჯულის დამდები კრების სამყოფი სასახლე რომ არის, ერთს რომელსამე იმის კარრიდორში Ეგვენი პელტანი, წევრი სჯულის დამდების კრებისა, შეჰყროდეს სახელმწიფო მინისტრს რუეს და იმისთვის ეკითხნოს: „Უფ. მინისტრო, ალბათ კარგი სათქმელი არა გქონდათ რა, რადგან ჩვენ კითხვებზედ პასუხი არა მოგვეცით რა?„—“Უფ პელტანო, პატიოსანი სიტყვით გეფიცებით, რომ ეს ორი დღეა, რაც დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობიანობა ჯარ შეირყევა.“ „მაშ ძალიან ბევრს ჰკარგავთ იმითი, რომ მაგას ტრიბუნიდგან არ გვიცხადებთ“—პელტანმა უპასუხა. Აგრეთვე დამშვიდებით ელაპარაკება რუე ჟურნალის Revue des Deux Mondes გამომცემელს, უფ. ბიულოზს. მაგრამ იმას მაინც არა სჯეროდა.—„Არ გინდათ დამიჯეროთ?—Უთხრა სახელმწიფო მინისტრმა; მაშ მოდი სანაძლევო დავდოთ იმაზედ, რომ ომი არ იქნება. Თუ არ იქნეს, სიკვდილამდის შენი ჟურნალი მიგზავნე ხოლმე უფასოთ. „Კარგი“,—უპასუხა ბიულოზმა.—მაგრამ პირობა დავდოთ, რამდენი ხნის განმავლობაში, უნდა მოხდეს ეს ამბავი, ორი თვის, თუ სამი თვისა?—„რამდენიც გინდათ იმდენი ხანი დასდეთ ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ უკუნისამდე არ იყოს.—Მაშ მე დავსდებ წლის ნახევრის ვადას. Თანახმა ხართ, თუარა?—დიახ თანახმა ვარ.—მიუგო ბიულოზმა.

---

**გაზეთი „Ტაიმსი“ (Times) და იმის რედაქცია.**

Ანგლიის გაზეთი „Ტაიმსი“ (Times) ყველაზედ დიდი და უმთავრესი გაზეთია არამც თუ მარტო Ანგლიაში, არამედ მთელს ქვეყანაზედაც. Ეს გაზეთი წარსულ საუკუნის გასულს, 1785 წელს, დააფუძნა Ლონდონის მესტამბემ, Ჯონ Ვალტერმა. Ამ საუკუნის დაწყებამდის იმას არა ვითარი საპოლიტიკო მნიშვნელობა არა ჰქონია. 1803 წელს ამ გაზეთის რედაქტორი შეიქნა Ჯონ Ვალტერი, „Ტაიმსის“ დამფუძნებელის შვილი. Გაზეთს „Ტაიმსს“ (Times) მიაქციეს ყურადღება, იმიტომ რომ ის ბეჯითს ახალს ამბებს აცნობებდა მკითხველებს და პირ უთნებლად განსჯიდა ხოლმე საპოლიტიკო და სასოციალო საქმეებს. Ეს გაზეთი ძალიან კარგს კორრესპონდენტებს ეძებდა, კარგს ფულსაც აძლევდა იმათ. როდესაც ამ დროს ნაპოლეონი I Ევროპაში იბრძოდა ყველას ძალიან გულით უნდოდა ახალ ამბების შეტყობა და ამ შემთხვევაში გაზეთს „Ტაიმსს“ ვერა გაზეთი ვერ ასწრებდა. Ხშირად „Ტაიმსი“ უფრო ჩქარა აცნობებდა ხოლმე ახალს ამბავს მკითხველებს, მინამ თვით მმართებლობა. Ფლისსინგენის ციხის აღებას მინამ მმართებლობა გაიგებდა, იმან ორი დღის წინათ შეატყობინა მკითხველებს, და Ვატერლოოში ნაპოლეონის დამარცხება ორი საათით წინ აცნობა. Რასაკვირველია ხელის მომწერლები ძალიან ემატებოდნენ და სტამბას უჭირდა იმდენი ეგზემპლიარის დაბეჭდვა, რამდენიც მკითხველებისთვის საჭირო იყო. Ამისთვის Ვალტერი ცდილობდა ორთქლის საბეჭდავი გაემართა, და 1814 წელს ის შეურიგდა ორ ამისთანა საბეჭდავის გაკეთებაზედ. Ამ საბეჭდავით საათში ათას ასი ეგზემპლიარი იბეჭდებოდა, მაშინ როდესაც ხელის საბეჭდავით ორას ორმოცდა ათი ეკზემპლიარის მეტი არ იბეჭდებოდა. Გაზეთს „Ტაიმსს“ ეჭირა ვაჭრების მხარე და იმათ სასარგებლოთ შრომობდა. 1841 წელს იმან გააცხადა ერთი ვრცელი პლანი, რომლის განზრახვაც ის იყო, რომ უმთავრესი Ლონდონის ბანკირები ძალიან ეზარალებინა. Ამით „Ტაიმსმა“ კიდევ უფრო დიდი რწმუნება მოიპოვა ვაჭრებში. Ეს პლანი რომ ასრულებულიყო, ბანკირები ერთ მილლიონ გირვანქა სტერლინგს იზარალებდნენ. Გაზეთი „Ტაიმსი“ დააჯილდოვეს ვაჭრებმა იმითი, რომ 2,700 გირვანქა სტერლინგი მოუგროვეს, როცა ის ერთ სადავო საქმეში გაება და ამ დავაში ბევრი დაეხარჯა. „Ტაიმსმა“ ამ ჯილდოზედ უარი სთქვა. Მაშინ 2,000 გირვანქა სტერლინგი შეიტანეს Ოკსფორდის და Კემბრიჯის უნივერსიტეტში და ამ ფულით დაარსდა ორი სტიპენდია გაზეთის Ტაიმსისა. Დანარჩენი ფულით მარმარილოს ფიცრები გამოჰკიდეს ბირჟაზედ და ზედ დააწერეს: „მთელი ვაჭრობა მადლობელია „Ტაიმსისა“, რომელიც ასე სულგრძელათ იცავს იმის ინტერესსა“.

1842 წელს ამ ვაზეთის გამომცემლებმა ერთი გასაკვირველი გულის მოდგინება გამოიჩინეს ახალ-ამბის შეტყობაში. Გაზეთმა „Ტაიმსმა“ ყველაზედ პირველ აცნობა Ყაბულში სისხლის ღვრა. Კორრესპონდენტის წიგნი მარსელიდგან პარიჟში ცალკე დაქირავებულ ეკიპაჟით მიიტანეს და პარიჟიდგან ბულონამდის ცხენოსნის ხელით. Აქედგან ეს ამბავი გაგზავნეს Ანგლიაში „Ტაიმსის“ საკუთარი ცეცხლის გემით. Ქვემო პალატამაც ეს ამბავი „Ტაიმსისაგან“ შეიტყო.

Ამ უკანასკნელს დროს გაზეთის „Ტაიმსის“ სტამბა ხელ ახლავ გაამჯობინეს. Ის ახლა საათში ორმოცდა ათი ათასს ეგზემპლიარს ჰბეჭდავს. Კარგს კორრესპონდენტებს გარდა, ის კიდევ იმითია საქები, რომ სხვის აზრს პატივს სცემს და ბაასში მოპირდაპირეს შეურაცხ ყოფით არ ესარჩლება.

---

**სახაზინო განცხადება.**

(Закавказскій Вѣстникъ № 33).

1) Ვლადიკავკასის ქალაქის საზოგადოებითს სამმართველოში ამ წლის 18 მაისს მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა 1250 ჩეთვერი პურის და 125 ჩეთვერის კრუპის გადატანა Ნაურის მაღაზიიდგან Ნიკოლაევსკის მაღაზიაში.

3) Ტფილისის სამხედრო ლოშპიტლის კანტორაში ამ წლის 8 მაისს მოხდება ტორგი და 12 პერეტორჟკა, რომელზედაც იჯარით გაიცემა სხვა და სხვა ნივთების დამზადება საფელშრო შკოლისა და ლოშპიტლისათვის.

4) Საქართველო-Იმერეთის Სინოდის Კანტორაში ამ წლის 22 მაისს მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა დუქანი, რომელიც Მარტყოფის უდაბნოს ეკუთვნის.

6) Ვლადიკავკასის სამხედრო ლოშპიტლის კანტორაში ამ წლის 30 მაისს მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა შეკეთება და შეღებვა სხვა და სხვა სალოშპიტლო ნივთებისა.

7) Ზაკავკასიის პრიკაზში ამ წლის 24 აგვისტოს მოხდება ტორგი გასასყიდათ ქვითკირის შენობებისა, რომელნიც ეკუთვნიან ქვემოხსენებულს Ტფილისის მცხოვრებლებს. Ეს მამულები იმისთვის ისყიდება რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდგან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1) აზნაურმა Ალექსანდრე Იოსების ძემ Ქანანოვმა—750 მან., რომლის გირაოთ არის მისი და მისი ძმის Დავითის სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 2) Გიორგი Ნინიას ძემ Ვასილიევმა—2,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი სამი დუქანი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 3) Ამბარცუმ Ნიკიტას ძემ Ენფიაჯიანცმა—400 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის 2 კვარტალში: 4) Იაკობ Მხითარის ძემ Მხითაროვმა—500 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 5) Ივანე Სვიმონის ძემ Საათზაზოვმა—6,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი ფლიგელით 2 ნაწილის 2 კვარტალში; 6) Ტიტულიარნი სოვეტნიკმა Გაბრიელ Არტემის ძემ Ირიცპუხოვმა (აწ გარდაცვალებულმა)—10,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 1 ნაწილის 3 კვარტალში და 7) უნტერ-აფიცრის ცოლმა Ანნა Ივანეს ასულმა Კომოზოვისამ—750 მან., რომლის გირაოთ არის მისი სახლი 1 ნაწილის 2 კვარტალში.

8) Ზაკავკასიის პრიკაზის განკარგულებით Თელავის უეზდის სამსჯავროში ამ წლის 14 აგვისტოს მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელნიც ეკუთვნიან ქვემოხსენებულთ Თელავის და Სიღნაღის უეზდების მებატონეებს. Ეს მამულები იმისთვის ისყიდება, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდგან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1) თ. Გრიგოლ Ზაქარიას ძემ Გებურო-Ვაჩნაძემ—4,200 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს Კარდანახს; 2) თავადებმა Მიხეილ და Სოლომონ Ნოშრევანის ძეთა Ჯორჯაძეებმა—6,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფლებში Გრემს და Ახმეტას; 3) აზნაურმა Თამაზ Გრიგოლის ძემ Ანდრონიკაშვილმა—1,600 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს Ოჟიოს; 4) აზნაურებმა Დავით და Სარდიონ Სოლომონის ძეთა Მაჭაჯარიანებმა—1,750 მან., რომლის გირაოთ არის მათი მამული სოფელს Შალაურს და 5) შტაბს-კაპიტანმა თ. Იოსებ Რევაზის ძემ Ჯორჯაძემ—15,000 მან., რომლის გირაოთ არის იმისი მამული და იმის მრწმუნებელის კნეინა Თინათინ Ანდრონიკაშვილისა სოფელს Გრემს და Საბუეს.

9.) Ზაკავკაზიის პრიკაზის განკარგულებით Გორის Უეზდის Სამსჯავროში ამ წლის 24 აგვისტოს მოხდება ტორგი გასასყიდათ მამულებისა, რომელნიც ქვემოხსენებულს Გორის უეზდის მებატონეებს ეკუთვნიან. Ეს მამულები მისთვის ისყიდება, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს Პრიკაზიდგან გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი: 1.) პადპარუჩიკმა თავადმა Დავით Ესტატეს ძემ Ციციშვილმა (აწ გადაცვალებულმა)—22,400 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფლებში Კეხიჯვარს, Ქარელს და Ხვედურეთს; 2.) იმავე Ციციშვილმა—3,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი მამული სოფელს Დოესს და 3.) პადპარუჩიკმა თავადმა Მიხეილ Დიმიტრის ძემ Თარხან—Მოურავიშვილმა—3,000 მან., რომლის გირაოთ არის მისი და მისი ძმების Დიმიტრის და Ბესარიონის მამულები Ერთაწმინდას და Ახალციხეს.

---

**საბიბლიოგრაფიო ცნობა.**

Დაიბეჭდა და ისყიდება ახლად შედგენილი **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ**, Ი. Გოგებაშვილისა. Ფასი ორი შაური, ხუცური ანბანით სამი შაური.

Იბეჭდება და ამ მოკლე დროში გამოვა „**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ**“ 1867 წლისა, შედგენილი ნიკ. Ავალიშვილისაგან. Ეს კალენდარი შეიცავს სხვა და სხვა საჭირო ცნობებს.

---

**ᲙᲔᲠᲫᲝᲝᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.**

Ერევნის მეიდანზედ, სემინარიის ქვეშ, იქ, სადაც უწინ იყო თ. Აფხაზის სარდაფი, გაიხსნა ღვინის სარდაფი Ი. Სულხანოვისა და კამპ. Ამ სარდაფშია საუკეთესო კახური ღვინოები თავ. Დ. Ჭავჭავაძისა და სხვა Კახეთის მებატონეებისა.

Ღვინოების ფასი ძალიან ზომიერია.

Რომ არავითარი სიყალბე არ მოხდეს, ბოთლები თვითონ სარდაფის ბეჭდით იქნებიან დაბეჭდილნი.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го мая 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი Ზ. Წერეთელი. Გამომცემელი ს. მელიქიშვილი.